გიორგი ნოზაძე
ნათია კობაძე
სალომე ჩხეიძე
ნინო გვილავა

ტესტები
მათემატიკაში

III კლასი

I ნაწილი

დიოფანტე
დაწყებითი
სკოლა

პროექტის ხელმძღვანელი	**მაგდა ბარამიძე**
რედაქტორი	**სოლომონ ნოზაძე**
დიზაინერი და ტექნიკური რედაქტორი	**გიორგი ბაგრატიონი**
ყდის დიზაინერი და ილუსტრატორი	**ანა ოსიაშვილი**

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2025, I გამოცემა
© გიორგი ნოზაძე, ნათია კობიძე, სალომე ჩხეიძე, ნინო გვილავა

ყველა უფლება დაცულია
ISBN 978-9941-11-936-1
გამომცემლობა „დიოგენე“, თბილისი, აფაქიძის ქ. 9, ტელეფონი: 2213321
ელფოსტა: adm@diogene.ge
www.diogene.ge

გამარჯობა, მეგობარო!

ეს არის მათემატიკის ტესტების კრებული, რომელიც დაგეხმარება, უკეთ გაიმეორო ნასწავლი მასალა და კიდევ უფრო გაიმყარო ცოდნა.

კრებულში ნახავ როგორც წინა კლასის გასამეორებელ ტესტებს, ისე – შენი კლასის ტესტებს. შეგიძლია საკუთარი ძალები სცადო სხვადასხვა სირთულის ამოცანებში.

ტესტებში შეხვდები ორი ტიპის დავალებას:

არჩევითპასუხიანი – სადაც მოცემული ვარიანტებიდან უნდა აირჩიო სწორი;

მოკლეპასუხიანი – სადაც თავად უნდა ჩაწერო პასუხი.

ზოგიერთ დავალებაში მოგიწევს გამოთვლა, ზოგან – ფიქრი, ზოგან კი უბრალოდ სწორი პასუხის არჩევა.

არ ინერვიულო, თუ ყველა დავალებას პირველივე ჯერზე ვერ გააკეთებ. მთავარია სცადო, იფიქრო და ყოველი ნაბიჯით ისწავლო რაღაც ახალი.

დაიმახსოვრე: შეცდომა არ არის ცუდი – შეცდომა არის გზა სწავლისკენ!
წარმატებებს გისურვებ და გახსოვდეს – მათემატიკა შენი მეგობარია!

სარჩევი

ტესტი 1. გამეორება (რიცხვები და მოქმედებები 100-ის ჩათვლით) **4**

ტესტი 2. გამეორება (გეომეტრიული ფიგურები, გაზომვა, მონაცემები) **12**

ტესტი 3. გეომეტრიული ფიგურები **21**

ტესტი 4. რიცხვები 1000-ის ჩათვლით **31**

ტესტი 5. სიდიდეები, გაზომვა, მონაცემები **39**

ტესტი 6. რიცხვების შეკრება გამოკლება 1000-ის ჩათვლით **51**

ტესტი 1
გამეორება (რიცხვები და მოქმედებები 100-ის ჩათვლით)

ვარიანტი 1

1. ჩამოთვლილთაგან რომელია ორმოცდათორმეტი?

ა) 22

ბ) 32

გ) 42

დ) 52

2. დაწერე კანონზომიერი მიმდევრობის შემდეგი ორი წევრი: 11, 14, 17, __, __

ა) 20, 24

ბ) 21, 24

გ) 20, 23

დ) 18, 19

3. ჩამოთვლილთაგან რომელი რიცხვი მიიღება 17-ის გაორმაგებით?

ა) 24

ბ) 34

გ) 27

დ) 31

4. დაწერე რიცხვი, რომელიც მიიღება 58-ის განახევრებით.

პასუხი: _____

5. გამოთვალე: 37+25 = _____

6. გამოთვალე: 85 – 47

ა) 32

ბ) 38

გ) 42

დ) 48

7. **დაწერე ტოლობაში გამოტოვებული წევრი: 29 + ___ = 64**

8. **ჩამოთვლილთაგან რომელშია რიცხვი 45 სწორად მონიშნული?**



9. **თიკოს 27 ლარი ჰქონდა, მან 12 ლარით ოჯახის წევრებისათვის ტკბილეული იყიდა. სახლში დაბრუნებულ თიკოს ბაბუამ 25 ლარი აჩუქა.**

დაწერე მხოლოდ ერთი რიცხვითი გამოსახულება, რომელიც აჩვენებს, რამდენი ლარი აქვს თიკოს ახლა. არ გამოთვალო გამოსახულების რიცხვითი მნიშვნელობა.

პასუხი: _____

10. **ჩამოთვლილთაგან რის ტოლია ტოლობის უცნობი წევრი: ___ − 39 = 1**

ა) 38

ბ) 40

გ) 41

დ) 39

11. **ანამ იყიდა ერთ მაღაზიაში 26 ფანქარი და მეორე მაღაზიაში კიდევ 14 ფანქარი. სულ რამდენი ფანქარი იყიდა ანამ?**

ა) 30

ბ) 40

გ) 12

დ) 44

12. შემოხაზე კლების მიხედვით დალაგებული რიცხვები?

ა) 89, 77, 65, 55

ბ) 55, 65, 77, 89

გ) 77, 65, 55, 89

დ) 89, 65, 77, 55

13. ელენემ ჩანთა და წიგნი იყიდა. ჩანთაში 39 ლარი გადაიხადა. წიგნი 21 ლარით იაფი ღირდა, ვიდრე ჩანთა.

ქვემოთ მოცემული გამოსახულებებიდან რომელი დაგეხმარება გაიგო — სულ რამდენი ლარი დახარჯა ელენემ საყიდლებში?

ა) 39 + (39 +21)

ბ) 39 – 21

გ) 39 + (39 – 21)

დ) 39 +21

14. გამოთვალე: 25 – (14 + 7) = _____

15. ჩამოთვლილთაგან რომელი რიცხვის უახლოესი ათეულია 100?

ა) 89

ბ) 93

გ) 96

დ) 91

16. ჩამოთვლილთაგან რომელია სწორი ტოლობა:

ა) 27 + 15 = 15 + 27

ბ) 27 + 2 = 24 + 6

გ) 12 + 14 = 16 + 20

დ) 26 + 14 = 40 – 4

17. რთველში ნინომ დაკრიფა 23 კალათა ყურძენი, ნიკომ – 10 კალათით ნაკლები, ვიდრე ნინომ. რამდენი კალათა ყურძენი დაკრიფა ნიკომ?

პასუხი: ____

18. დაწერე ტოლობაში გამოტოვებული რიცხვი: ___ + 38 = 93

19. ჩასვი გამოტოვებული რიცხვი: ____ + 37 = 98 – 14

20. რომელი გამოსახულების მნიშვნელობაა მეტი: 35 + 29 თუ 84 – 21 ?

ა) პირველის მნიშვნელობა მეტია

ბ) მეორის მნიშვნელობა მეტია

გ) ორივე ტოლია

დ) დადგენა შეუძლებელია